

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

- I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- II. პროფესიული განათლების საფეხური: მესამე
- III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. პროგრამის მოცულობა: 100 კრედიტი (2500 საათი) 60% ეთმობა თეორიულ სწავლებას (1500სთ), 40% სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას (1000სთ)69 სასწავლო კვირა
- V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე დაიშვება საბაზო ან საშუალო განათლების ატესტატის მქონე აბიტურიენტი.

VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია სტუდენტმა იცოდეს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებდეს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. შეძლოს გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები. შეძლოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება. უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება, შეძლოს განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრა, მათი შეფასება და ანალიზი.

VII. სწავლის შედეგი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის ურთიერთობის ფსიქოლოგია; • პალიატიური მზრუნველობის არსი; • საკუთარი თავის დაცვა ინფექციის კერაში მუშაობისას; • ფლობს ბიოლოგიურ მეცნიერების (მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია, ეპიდემიოლოგიის) საფუძვლებს ; • შეუძლია მარტივი მათემატიკური გამოთვლების ჩატარება; • გაცნობიერებული აქვს საექთნო მოვლის ასისტირების მიზნები და ამოცანები; • ფლობს ასისტირების ძირითად საშუალებებს, ფორმებსა და მეთოდებს; • აქვს ინფორმაცია წამლების ორგანიზმზე ზემოქმედების გვერდითი ეფექტების შესახებ; • პირველი გადაუდებელი დახმარება; • ინფექციის კონტროლი; • სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი; • იცის პაციენტის უფლებები და უწყვეს ანგარიშს.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოვლის პროცესში პაციენტის ასაკის, დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინება; • პაციენტის ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში; • დეზინფექციის ჩატარება, კონცენტრირებული ხსნარების დამზადების წესის ჩათვლით; • სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლა (სირთულის მიხედვით); • პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა; • საკუთარი სამუშაოს გეგმის შედგენა და მისი თანწყობა სამედიცინო გუნდის წევრების სამუშაო გეგმასთან; • ფიზიკური საჭიროებების იდენტიფიცირება; • დღიურის წარმოება და ინფორმაციის შენახვა; • ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარება; • მოსავლელი პირის კვება, დაბანა, აბაზანის გაკეთება, ჩაცმა, საწოლის გამზადება, ტრანსპორტირება; • გარეგანი მანიპულაციების ჩატარება; • ნაწოლების პრევენცია; დაინფიცირებული ჭრილობის, წყლულების, ნაწოლების მოვლა; • განავლის მიმღები და შარდმიმღები სისტემების გამოცვლა, უტილიზაცია; • მწლიარე პაციენტისათვის მოსახერხებელი გარემოს შექმნა, თეთრეულის გამოცვლა; • ექიმის ან ექთნის დახმარება დესმურგის მიმდინარეობისას; • დახმარება წამლებისდარიგების დროს; • სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი; • ასისტირება სტერილური მანიპულაციების დროს, უშუალოდ ასრულებს სუფთა მანიპულაციებს;

	<ul style="list-style-type: none"> პრეოპერაციულად პაციენტის მომზადება (კანის ჰიგიენა, ანტისეპტიკური დამუშავება).
დასკვნის გაკეთების უნარი	<ul style="list-style-type: none"> შეუძლია ექთნის ინფორმირება პაციენტის მიერ წამლის მიღების რეჟიმის დარღვევის, ზედოზირების, უეცარი შეწყვეტის, ან ერთი წამლის მეორეთი თვითნებურად ჩანაცვლების შემთხვევაში; შეუძლია ექთნის ან მკურნალი ექიმის შენიშვნების გათვალისწინება. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია საკუთარი პოზიციის დაცვა; პრობლემურ ან ფორსმაჟორულ სიტუაციაში შეუძლია მიზეზშედეგობრივი კატეგორიებით აზროვნება, გადაწყვეტილების ეფექტურად და სწრაფად მიღება და ამის შესახებ ექთნის/ექიმის ინფორმირება.
კომუნიკაციის უნარი	<ul style="list-style-type: none"> შეუძლია პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება; კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან, მედპერსონალთან; სხვისი საუბრის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებისას დაზუსტება; მარტივი ტექსტების გაგება უცხოურ ენაზე; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა; შეუძლია პაციენტის მოვლაზე, მანიპულაციებსა და სხვა პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია განსხვავებულ სიტუაციებში; შეუძლია მშობლიურ და უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და ამ ინფორმაციის გააზრება, კომუნიკაცია; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებს პროფესიულ საქმიანობაში; იცის კომპიუტერიული საოფისე პროგრამები.
სწავლის უნარი	<ul style="list-style-type: none"> შეუძლია მითითებული ლიტერატურის მეშვეობით სწავლა; შეუძლია, სხვისი ხელმძღვანელობითა და რჩევების გათვალისწინებით განსაზღვროს შემდგომი სწავლის პერსპექტივები; შეუძლია საკუთარი სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება; ზრუნვა პროფესიული განვითარებისათვის.
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს, მოქმედებს მათ შესაბამისად; შეუძლია, პროფესიული პრობლემის წამოჭრისას გულისყურით მოეკიდოს საკითხს; კრიტიკული სიტუაციის დროს არ კარგავს კეთილგანწყობას პაციენტის მიმართ.

VIII. სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო კურსები/ მოდულები/საგნები	სწავლის შედეგები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებე ბი
ექთნის თანაშემწის საქმე	x	x	x			
ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის საფუძვლები	x	x				
ზოგადი ფარმაკოლოგია	x	x				
უცხო ენა /ინგლისური				x		
კომპიუტერული საოფისე პროგრამები				x		
ურთიერთობათა ფსიქოლოგიადა პროფესიული ეთიკა	x		x	x	x	x
მათემატიკა				x		
ბიოლოგიური მეცნიერების საფუძვლები	x					
პირველადი გადაუდებელი დახმარება	x	x				
სასწავლო პრაქტიკა		x				
საწარმოო პრაქტიკა		x				

IX. სასწავლო გეგმა

საგნები	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება						სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია	პრაქტიკული /ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
ექთნის თანაშემწის საქმე	14	72	72			6	200	350
ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის საფუძვლები	9	48	48			4	125	225
ზოგადი ფარმაკოლოგია	3	16	16			3	40	75
უცხო ენა /ინგლისური	4	21	21			3	55	100
კომპიუტერული საოფისე პროგრამები	4	14	28			3	55	100
ურთიერთობათა ფსიქოლოგიადა პროფესიული ეთიკა	4	42	-			3	55	100
მათემატიკა	3	8	24			2	41	75
ბიოლოგიური მეცნიერების საფუძვლები	10	66	33			4	147	250
პირველადი გადაუდებელი დახმარება	9	48	48			4	125	225
სასწავლო პრაქტიკა	20			490		10	-	500
საწარმოო პრაქტიკა	20				495	5	-	500
სულ	100	335	290	490	495	47	843	2500

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- ლაბორატორიულ მეცადინეობას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- დამუკიდებელ მეცადინეობას
- საწარმოო პრაქტიკას, ან/და სასწავლო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) მომზადებას და ჩაბარებას

XI. პროფესიული სტუდენტების ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი
- ზეპირი გამოკითხვა
- პორტფოლიო
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- დაკვირვება და დემონსტრირება
- პრეზენტაცია

შეფასების კრიტერიუმები:

საერთო 100 ქულიდან 60 ქულა ეთმობა შუალედურ შეფასებას, ხოლო 40 ქულა დასკვნით გამოცდას/პრაქტიკის დაცვა.

შუალედური გამოცდის გაგადაწლება კომპონენტების მიხედვით ჩაშლილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსებში.

XII. სწავლების მეთოდები(ეს ფორმებია)

- თეორიული სწავლება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- ლაბორატორიული სამუშაო
- სასწავლო პრაქტიკა
- საწარმოო პრაქტიკა

სწავლების მეთოდები:

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;

წიგნზე მუშაობის მეთოდი;

წერიტი მუშაობის მეთოდი;

დისკუსია/ დებატები;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);

შემთხვევის ანალიზი (Case study);

გონებრივი იერიში (Brain storming);

დემონსტრირების მეთოდი;

ინდუქცია;

დედუქცია;

ანალიზი;

სინთეზი;

ახსნა-განმარტებითიმეთოდი.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ.

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ექთნის თანაშემწის საქმე	ეკატერინე ქურხული	ჰიგიენისტი, ეპიდემიოლოგი, პროფთალოგი – ექიმი
ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის საფუძვლები	ეკატერინე ქურხული	ჰიგიენისტი, ეპიდემიოლოგი, პროფთალოგი – ექიმი
ზოგადი ფარმაკოლოგია	ეკატერინე ქურხული	ჰიგიენისტი, ეპიდემიოლოგი, პროფთალოგი – ექიმი
უცხო ენა /ინგლისური	ნინო ტეტიაშვილი ქეთევან მატიაშვილი	ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფილოლოგი ინგლისური ენის მასწავლებელი
კომპიუტერული საოფისე პროგრამები	ხათუნა ტაბატაძე	უცხო ენა/ინგლისური/ მთარგმნელი–რეფერენტი პრაქტიკული გამოცდილება ინფორმატიკის დარგში
ურთიერთობათა ფსიქოლოგია და პროფესიული ეთიკა	ნინო დულაშვილი	ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი
მათემატიკა	თამარი აბულაშვილი	მათემატიკოსი
ბიოლოგიური მეცნიერების საფუძვლები	ნინო ონაშვილი	გეოგრაფიისა და ბიოლოგიის მასწავლებელი
პირველადი გადაუდებელი დახმარება	ეკატერინე ქურხული	ჰიგიენისტი, ეპიდემიოლოგი, პროფთალოგი – ექიმი
სასწავლო პრაქტიკა	ეკატერინე ქურხული	ჰიგიენისტი, ეპიდემიოლოგი, პროფთალოგი – ექიმი
საწარმოო პრაქტიკა	ეკატერინე ქურხული	ჰიგიენისტი, ეპიდემიოლოგი, პროფთალოგი – ექიმი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ

დაწესებულების სასწავლო კორპუსი აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი თანამედროვე ინვენტარით, კომპიუტერული ლაბორატორიით, ბიბლიოთეკით და სხვადასხვა სასწავლო თვალსაჩინოებებით. საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით, დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „ჯეოჰოსპიტალის“-ის საგარეჯოს მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრთან და შპს „კლინიკა-LIFE“-თან.

XV. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ექთნის თანაშემწის პროგრამას მეოთხე საფეხური არ გააჩნია